საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების

ტრენინგ-კურსი

კურსის სახელწოდება:	"ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მართვა და ადმინისტრირება" "Management and administration of Nursery and Pre-School Institution"
კურსის მოცულობა:	30 საკონტაქტო საათი.
კურსის ხელმძღვანელი	მოწვეული სპეციალისტი - მარიამ მკალავიშვილი
კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები (გთხოვთ, თან დაურთოთ CV)	ტრენერები: მარინა შენგელია, ირმა გრიგოლია, თინათინ სიდონაშვილი, მარიამ მკალავიშვილი
სწავლების ენა:	ქართული
სამიზნე ჯგუფი:	1.1 მუნიციპალიტეტების ბაგა-ბაღების გაერთიანებების (სააგენტოების) თანამშრომლები; 1.2 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოქმედი დირექტორები; 1.3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებული ვაკანსიების დაკავების მსურველი მოქალაქეები.
კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის:	აკადემიური უმაღლესი განათლება;
კურსის მიზანი:	კურსის მიზანია ტრენინგის მონაწილეებმა შეისწავლონ:

	ა) „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ბ) „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები გ) საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები დ) „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში მოქმედი სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები ე) ბავშვთა უფლებების კონვენცია, ბავშვთა დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, რეგულაციები, სტანდარტები ვ) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პრინციპები ზ) ინკლუზიური განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა თ) ინკლუზიური განათლების პრინციპები ი) უნივერსალური დიზაინის პრინციპები კ) ბავშვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის პრინციპები ლ) ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები მ) სტრატეგიული გეგმის შემუშავების, განხორციელების და შეფასების პრინციპები ნ) დაწესებულების ბიუჯეტის შემუშავების პრინციპები ო) საქართველოს შრომის კოდექსი აღნიშნული საკითხების ცოდნა და კომპეტენციების გამომუშავება განაპირობებს მსმენელთა მიერ დაწესებულების მართვისა და ადმინისტრირების წარმატებით განხორციელებას, დაწესებულების ავტორიზაციის მოსამზადებლად საჭირო ცოდნისა და უნარების შეძენას.

სწავლის შედეგები:	სატრენინგო პროგრამის გავლის შემდეგ მსმენელები: • გააცნობიერებენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მართვისა და ადმინისტრირების განხორციელების აუცილებლობას საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მთავრობის დადგენილებების, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის“, საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და საქართველოში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე; • შეძლებენ საქართველოში მოქმედი დარგობრივი კანონმდებლობის დაწესებულებაში იმპლემენტაციის უზრუნველყოფას და ზედამხედველობას; • გაეცნობიან დაწესებულების ეფექტურად მართვის სტრატეგიებს; • შეძლებენ დაწესებულების საჭიროების იდენტიფიცირებას და მათი გადაწყვეტის გზების შემუშავებას; • შეძლებენ ბაგა-ბაღის სტრატეგიული გეგმის შედგენას და გეგმის მიხედვით დაწესებულების მართვას; • შეძლებენ დაწესებულების მართვის განსახორციელებლად შიდა ნორმატიული აქტების გამოცემას; • გააცნობიერებენ ბაგა-ბაღის წესდებისა და შინაგანაწესის მნიშვნელობას, შეისწავლიან შინაგანაწესის შემუშავებას; • შეძლებენ ადამიანური რესურსების მართვას; • შეძლებენ ბაგა-ბაღის ბაზაზე აღმზრდელ-პედაგოგთა შეფასებას და სასწავლო/სააღმზრდელო პროცესზე დაკვირვებას; • შეძლებენ გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო/სააღმზრდელო გეგმების შემუშავებას; • შეძლებენ დაწესებულებაში აღსაზრდელთა ავადობის პრევენციას; • შეძლებენ დაწესებულებაში ინკლუზიური აღზრდისა და განათლების უზრუნველყოფას; • შეძლებენ დაწესებულების ბიუჯეტის შედგენას; • შეძლებენ შესყიდვების დაგეგმვასა და განხორციელებას; • შეძლებენ ავტორიზაციის გასავლელად დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსის მომზადებას, შესაბამისი დოკუმენტების მომზადებას და ავტორიზაციის კომისიისთვის წარდგენას;
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:	მინილექცია, გონების იერიში, დამოუკიდებელი სამუშაო (პრაქტიკული აქტივობა), პრეზენტაცია.

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:	ტრენინგზე დასწრება - მინიმუმ 80%
კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური რესურსები:	კომპიუტერი, პროექტორი, დაფა, მარკერები, ფლიფჩარტები, ჩანაწერის ფურცლები, საწერი ქაღალდი (თაბახის ფურცლები)

30 საკონტაქტო საათი

კურსის სტრუქტურა და შინაარსი

#	თემა / სესია	საათების რაოდენობა თითოეული თემისათვის	მეთოდები	სასწავლო მასალა*
	I სატრენინგო დღე			
	I სესია:	1 სთ. 35 წთ.		
1.	- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების არსის გაცნობა, იმ ძირითადი დოკუმენტების/ნორმატიული აქტების ზოგადი მიმოხილვა, რომლებსაც ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება. - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მართვისა და ადმინისტრირების არსის გაცნობა, დაწესებულების დირექტორის უფლებამოვალეობები.		მინილექცია, პრეზენტაცია, დისკუსია	დაწესებულების მართვისა და ადმინისტრირების რეგულაციის ძირითადი დოკუმენტების/ნორმ ების ზოგადი მიმოხილვა - საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ

	II სესია:	**2 საკონტაქტო საათი**		
2.	ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მართვისა და ადმინისტრირების სამართლებრივი საფუძვლების გაცნობა/შესწავლა		მინილექცია, დამოუკიდებელი სამუშაო - პრაქტიკული აქტივობა, გონებრივი იერიში, პრეზენტაცია.	საქართველოს თვითმმართველობის კოდექსი, საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, საქართველოს შრომის კოდექსი,საქართველოს ზოგადადმინისტრაციული კოდექსი, წინასწარ მომზადებული სიტუაციური ამოცანა.
	III სესია	1 სთ. 25 წთ.		
3.	„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმების/მოთხოვნების დეტალური განხილვა/შესწავლა		მინილექცია, საშინაო დავალება,	საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ,
II სატრენინგო დღე				
	I სესია:	1 სთ. 50 წთ.		
4.	- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ავტორიზაციის პროცედურების განსახორციელებლად კანონით დადგენილი მოთხოვნების გაცნობა/შესწავლა, - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის		მინილექცია,	საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი;

	გაცნობა			
	II სესია:	**2 საკონტაქტო საათი**		
5.	- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სამართლებრივი ფორმა, წესდება. - ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები, ბაგა-ბაღის სტრუქტურა, დაწესებულების შინაგანაწესი. პერსონალის უფლება-მოვალეობები; - დაწესებულების სტრატეგიული გეგმის შედგენის მნიშვნელობა, დაწესებულების საჭიროების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტის გზების შემუშავება, დაწესებულების მართვის სტრატეგიული გეგმის შემუშავების, განხორციელების და შეფასების პრინციპები; - ურთიერთობა აღსაზრდელთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, საბჭოს ფუნქციები და შემადგენლობა.		მინილექცია, დამოუკიდებელი სამუშაო - სიტუაციის ანალიზი, პრაქტიკული აქტივობა, პრეზენტაციები.	საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ;
	III სესია	1 სთ. 10 წთ.		
6.	ბავშვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის პრინციპები, დაწესებულების შენობასა და ეზოში უსაფრთხო გარემოს		მინილექცია,	ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი;

	პარამეტრები/მახასიათებლები;			
		III სატრენინგო დღე		
	I სესია:	50 წთ.		
7.	აღსაზრდელის დაწესებულებაში ჩარიცხვა/რეგისტრაცია - მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, ინფორმაციის კონფიდენციალურობა აღსაზრდელის შესახებ		მინილექცია,	ხელშკრულება- კონტრაქტი - ნიმუში; სარეგისტრაციო ბარათი - ნიმუში;
	II სესია:	**2 სთ.**		
8.	ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმები			მთავრობის დადგენილება # 487 30.10.2017 წ. ტექნიკური რეგლამენტის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ
	III **სესია:**	**1 სთ. 30 წთ.**		
9.	ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმები		მინილექცია,	მთავრობის დადგენილება # 485 27.10.2017 წ. ტექნიკური რეგლამენტის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების“

				დამტკიცების შესახებ
	IV სესია	40 წთ.		
10	ჯანმრთელობის დაცვა: პირველადი დახმარება; სამედიცინო შემთხვევების მართვა		მინილექცია	„ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგია“ - თბილისი, 2011 წ. „ბაგა-ბაღის აღმზრდელი - პედაგოგის სახელმძღვანელო“- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2015წ.
		IV სატრენინგო დღე		
	I სესია:	2 სთ.		
11	ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების არსი; ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები: ბავშვის განვითარების სფეროები: ა) ფიზიკური და სენსორული განვითარება; ბ) სოციალურ-ემოციური განვითარება; გ)კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება; დ) შემეცნებითი განვითარება; ე) დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება;		მინილექცია, პრაქტიკული აქტივობა, პრეზენტაცია	ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი;

	თემატური მიმართულებები: ა) ხელოვნება; ბ) წიგნიერება; გ) ჯანსაღი ცხოვრების წესი და მეცნიერების ელემენტები;			
	II სესია:	**2 სთ. 20**		
12	სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის რეგულირების სფერო და მიზნები; სტანდარტის დანერგვის ზოგადი რეკომენდაციები.		მინილექცია, პრაქტიკული აქტივობა, პრეზენტაცია	სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი;
	III სესია	40 წთ.		
13	ფიზიკური გარემოს მოწყობა, დაწესებულების პროგრამული მოთხოვნები: დღის განრიგი, საასწავლო პროგრამა, სათამაშო, სასწავლო და სამუშაო მასალა.		მინილექცია, პრაქტიკული აქტივობა, პრეზენტაცია	ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი;
V სატრენინგო დღე				
	I სესია:	1 სთ. 30		
14	- სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებანი და ადრეული სასწავლო პრაქტიკა. ფსიქოტიპები - კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება- (ფსიქოლოგიური და ასაკობრივი თავისებურებები) - დამოუკიდებლობა და			ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი; საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ.

	ადაპტური ქცევის განვითარება - (ფსიქოლოგიური და ასაკობრივი თავისებურებები)			
	II სესია:	**2 სთ.**		
15	- ინკლუზიური განათლება, ინკლუზიური განათლების სახეები: სრული ჩართვა, ნაწილობრივი ჩართვა, ინტეგრირებული სწავლება, რესურს ოთახი; - ინკლუზიური განათლების ღირებულებები და პრინციპები: - აქტივობების უნივერსალური დიზანი, სივრცის დიზაინი, მასალა, სოციალური გარემოს უზრუნველყოფა, პერსონალური დახმარება , ინდივიდუალური მიდგომა, ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირება - ინკლუზიური განათლების სფეროში მომუშავე პროფესიონალთა გუნდი (აღმზრდელი, სპეც. პედაგოგი, ფსიქოლოგი, სოც.მუშაკი ოკუპაციური და ფიზიკური თერაპევტები, ექიმი, მშობელი) და მათი ფუნქციები.		მინილექცია, პრაქტიკული აქტივობა	ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი; საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #16/ნ - ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე

	მშობელთა და აღმზრდელთა ჩაბმულობის მოდელი: - საწყისი ეტაპი - ინფორმაციის გაზიარების ეტაპი - ერთობლივი ძალებით უზრუნველყოფის ეტაპი - პასუხისმგებლობის განაწილების ეტაპი.			
	III სესია	1 სთ. 30 წთ.		
16	- ,,არასასურველი ქცევა", არასასურველი ,,რთული" ქცევის კორექცია, არასასურველი ქცევის გამომწვევი მიზეზები, არასასურველ ქცევაზე აღმზრდელის რეაგირების სტრატეგიები - მშობელთა ტიპები და მათთან კომუნიკაციის ფორმები		მინილექცია	„მტკიცებულებებზე დაფუძნებული კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის პრაქტიკა" - დებორა დობსონი, ქის. ს დობსონი 2017 წ. „ვისწავლოთ ერთად" - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2008 წ.
VI სატრენინგო დღე				
	I სესია:	2 სთ. 35 წთ		
17	- ბავშვის უფლებები, - ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები		მინილექცია, პრაქტიკული აქტივობა	ბავშვის უფლებათა კონვენცია, მთავრობის დადგენილება #437 12.09.2016 წ. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების

				დამტკიცების შესახებ
	II სესია:	**2 სთ. 25 წთ**		
18	დაწესებულების ფინანსური მართვის სამართლებრივი საფუძვლები, ბიუჯეტის შედგენისა და ეფექტურად მართვის მნიშვნელობა, ბიუჯეტის სტრუქტურა, დაწესებულების შემოსავლები და ხარჯები, ბიუჯეტის დაგეგმვა. სახელმწიფო შესყიდვები, გამარტივებული შესყიდვები		მინილექცია	საქართველოს თვითმმართველობის კოდექსი, საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

- გთხოვთ, დანართის სახით წარმოადგინოთ ერთ-ერთი თემის / სესიის სასწავლო მასალის სრული კომპლექტი.

ინკლუზიური განათლების ღირებულებები და პრინციპები

ინკლუზიური განათლება საგანმანთლებლო სივრცეში, ნიშნავს ყველა ბავშვის თანამონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ ინკლუზიური განათლება შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებთან ასოცირდება, იგი ასევე მოიცავს ბავშვებს, რომელთაც ეზღუდებათ თავისი ქვეყნის ან თემის ტიპიური საგანმანათლებლო შესაძლებლობები. ესენია, ბავშვები ისეთი მოწყვლადი ჯგუფებიდან, როგორიცაა სიღარიბე, ენობრივი ან ეთნიკური უმცირესობა, რელიგიური უმცირესობა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქრონიკული პრობლემები, ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მშობლების შვილები. ის, თუ რომელი ჯგუფი გაერთიანდება სპეციალურ სამიზნე ჯგუფებში ქვეყანაზე, კულტურაზე და ცალკეულ საზოგადოებაზეა დამოკიდებული. ზოგადად კი მშვიდობიანი, სამართლიანი და კარგად ფუქნციონირებადი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, ყველა ბავშვს უნდა მიუწვდებოდეს ხელი განათლებაზე, რაც ეხმარება და განაპირობებს მათი სრული პოტენციის ამუშავებას და ამოქმედებას. ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად, ყველა ბავშვის მთავარი უფლება განათლებაა. ზოგიერთი ბავშვისთვის ეს უფლება მტკიცდება სხვა კონვენციებით, მაგალითად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განათლების უფლებით. ინკლუზია გარანტიაა იმისა, რომ ყველას კონტრიბუცია და თანამონაწილეობა აღიარებული და წახალისებულია. ინკლუზიური განათლების გადამწყვეტი ფაქტორებია:

- **უნივერსალური დიზაინის** კონცეფცია, როგორც ინკლუზიური განათლების საფუძველი

. **სასკოლო და საბავშვო ბაღის დიზაინი.** გარემო, სადაც გათვალისწინებულია ხელიმსაწვდომობის ყველა საკითხი, როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური, როგორც შიდა, ასევე გარე სივრცის.

- **მასალების მრავალფეროვნება.** მასალები ისეა შერჩეული, რომ ბავშვებმა შეძლონ თავისუფლად გამოყენება (რამდენადაც შესაძლებელია). ზომა, ფორმა და ფერი გათვალისიწნებულია.

- ინკლუზიური გარემოსთვის არსებითია ასევე, თუ რამდენად ღია, მიმღებლურ და **კეთილმოსურნე გარემოს** ქმნიან მასწავლებლები და ადმინისტრაცია ყველა ბავშვის, მათი ოჯახების და ზოგადად საზოგადოებისთვის.

- **დამატებითი პერსონალის** არსებობა და ის თუ როგორ ხდება მათი რესურსების გამოყენება

• **ინდივიდუალიზაცია,** ინდივიდუალური მიდგომა ყველასთან, . მასწავლებლები და დამატებითი პერსონალი მხარს უნდა უჭერდეს თითოეული ბავშვის ძლიერ მხარეებს და საჭიროებებს.

• გარემოს, მასალის, აღჭურვილობის თუ პრაქტიკის ადაპტაციის ზუსტი განსაზღვრა და შეფასება.

სოციალური გარემოს უზრუნველყოფა

სოციალური გარემო ინკლუზიური გარემოს ერთერთი არსებითი კომპონენტია. განსხვევბულობის აღიარება და მის მიმართ მიმღებლობა, პოზიტიური ემოციური კლიმატის შექმნა ინკლუზიური განთლების კრიტიკულ პირობას წარმოადგენს. მასწავლებლებისთვის ეს პროცესი გულისხმობს საკუთარი დამოკიდებულებების გააზრებას, გაცნობიერებას, რათა აქტივობები და შესაძლებლობები ყველა ბავშვისთვის და ოჯახისთვის გარანტირებულად იყოს. კეთილმოსურნე გარემო მნიშვნელოვან პირობას ქმნის იმისათვის, რომ ოჯახებმა გააზიარონ თავიანთი გამოცდილება და ცოდნა შვილებთან მიმართებაში. მშობლებთან და ოჯახებთან თანამშრომლობა საუკეთესო ადრეული საგანამანათლებლო პრაქტიკის ერთერთი ინდიკატორია.

პერსონალური დახმარება - ზოგიერთ სიტუაციაში, შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი დახმარების გამოყენება. მაგალითად, შეიძლება ბავშვს დამატებითი დახმარება დასჭირდეს კვების ან ტუალეტის დროს. ასეთ დროს კარგი ინკლუზია გულისხმობს იმას, რომ ბავშვი იღებს დახმარებას იმ დროს, როცა ეს საჭიროა და ეს დახმარება არ არის მხოლოდ „ამ ბავშვისთვის". პერსონალური ასისტირება და დახმარება უნდა ფრთხილად და კარგად განისაზღვროს და შემცირდეს თანდათანობით, როგორც კი ეს უნარი დაიწყებს გაუმჯობესებას. პერსონალური დახმარება შეიძლება გამოიყენოთ ენობრივი და კულტურული თვალსაზრისითაც.

ინდივიდუალური მიდგომა - ინდივიდუალიზაცია ეს არის ადრეული განათლების სპეციალისტის, მასწავლებლის ბუნებრივი კონცეფცია, რადგან არცერთი ბავშვის განვითარება, და ერთი აღსაზრდელის არცერთი სფერო არ არის თანაბრად განვითარებადი - ყველას აქვს რაღაც ძლიერი მხარე და ნიჭი რაზეც შეიძლება დაეყრდნო და შედარებით სუსტი მხარეები. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ინდივიდუალიზაცია მოიცავს როგორც ნებისმიერი სახის ადაპტაციას და ტექნოლოგიების დახმარებას, ასევე სასწავლო-სააღმზრდელო სტრატეგიების მორგებასაც ბავშვის საჭროებებზე. ეს ასევე გულისხმობს იმის იდენტიფიცირებას, თუ რომელი სპეციალისტის დახმარებაა საჭირო და როგორ იქნება ეს სპეციალური მომსახურება უზრუნველყოფილი. ამ პროცესებში მთელი გუნდი უნდა იყოს ჩართული,

მათ შორის მშობელიც. არსებითია თუ როგორ განხორციელდება ეს ჩვეულებრივ სასწავლო-სააღმზრდელო ბავშვებისთვის, რომელთაც სხვადასხვა სამედიცინო საჭიროება აქვთ, ინდივიდუალიზაცია შეიძლება გულისხმობდეს პერსონალის მხრიდან იმის ცოდნას, თუ რა აუცილებელი ქცევა უნდა განახორციელონ ჯგუფში, რა არის ის, რასაც უნდა მიაქციონ ყურადღება ბავშვის ჯანმრთელობასთან მიმართებაში, რათა ბავშვის კეთილდღეობა გარანტირებული იყოს.

ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირება

ხშირია შემთხვევები, როდესაც აღმზრდელი პირველია, ვინც ბავშვის რაიმე განსაკუთრებულ/დამატებით საჭიროებას ამჩნევს, ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილების და განვითარების ცოდნის გამო. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ოჯახების კვლევამ აჩვენა რომ 40% შემთხვევებისა სწორედ აღმზრდელმა შენიშნა პირველად ბავშვის სპეციალური საჭიროებები.

ადრეული განათლების პროგრამები ბევრ შესაძლებლობას იძლევა ბავშვების განვითარების საჭიროების იდენტიფიცირების, იმ შემთხვევაშიც თუ სირთულე და პრობლემა სახეზეა და მაშინაც კი, თუ ბავშვი რისკის ქვეშ იმყოფებიან. ყველა ასეთ შემთხვევაში ბავშვები ღირებულ სარგებელს ნახულობენ ძლიერი ადრეული განათლების პროგრამებიდან როგორც პრობლემის იდენტიფიცირების მხრივ, ასევე ოპტიმალური განვითარების ხელშეწყობის და წარმატებული გამოცდილების უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც. სასწავლო წლის დასაწყისში, საწყისი შეფასება და სკრინინგი აღმზრდელს არა მხოლოდ ბავშვის განვითარების, ძლიერი მხარეების და საჭიროებების იდენტიფიცირებაში ეხმარება, არამედ დამატებითი სპეციალისტების განსაზღვრაში და პროგრამის ბავშვის საჭიროების შესაბამისად ინდივიდუალიზებაში. ბავშვის მშობლების ჩართულობა და ინფორმაციის გაზიარება შეფასების და სკრინინგის ნაწილი უნდა იყოს. მშობლები ფლობენ ბევრად მეტ ინფორმაციას ბავშვის ქცევის, ყოველდღიური ფუნქციონირების, და ინდივიდუალური მახასიათებლების შესახებ. მშობელი ღირებულ და სანდო წყაროს წარმოადგენს ინფორმაციისა, რომელიც ბავშვის შესახებ, მისი უნარებისა და შესაძლებლობების სრული სურათის დახატვაში დაგეხმარებათ. მშობელი ასევე დაგეხმარებათ იმის განსაზღვრაში თუ რამდენად აუთენტური და ზუსტია თქვენი შეფასება, არის თუ არა ეს ბავშვის დამახასიათებელი ქცევა ყოველდღიურობაში და ბუნებრივ, ოჯახურ გარემოში.

ინდივიდუალური გეგმა შედგება 5 ეტაპისგან:

1. ინფორმაციის შეგროვება
2. მიმართულების განსაზღვრა

3. ინდივიდუალური სააღმზრდელო (სასწავლო) გეგმის შემუშავება

4. ინდივიდუალური სააღმზრდელო (სასწავლო) გეგმის განორციელება
5. ინდივიდუალური გეგმის გადახედვა, გადაფასება და განახლება

სამწუხაროდ, მრავალ სკოლამდელი ასაკის ბავშვს აღენიშნება სხვადასხვა სახის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის ორგანული დაზიანებით არის გამოწვეული და იწვევს ადამიანის ფუნქციონირების დაქვეითებას სხვადასხვა სფეროში. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას მისი სამედიცინო დიაგნოზი ასახავს. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვის არსებული მდგომარეობა ქრონიკულია.

მნიშვნელოვანია, იმის ხაზგასმა, რომ სამედიცინო დიაგნოზის არსებობა ავტომატურად არ გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსს. ხშირია შემთხვევები, როდესაც გარკვეული დიაგნოზის მქონე ბავშვები (მაგალითად, ეპილეფსია და სხვა) საკმაოდ კარგად არიან ადაპტირებულნი როგორც სასწავლო გარემოში, ასევე სოციუმში. საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის კლასიფიკაციით, შეზღუდული შესაძლებლობა არის დაზიანების/დარღვევის შედეგად გამოწვეული უნარის დროებითი ან ქრონიკული შეზღუდვა ფიზიკურ ან ფსიქიკურ სფეროში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე.

საგულისხმოა, რომ ორი ერთნაირი დაზიანების ან სამედიცინო დიაგნოზის მქონე ბავშვს, შესაძლებელია განსხვავებული სახის შეზღუდვები ჰქონდეს და თავისი ასაკისთვის დამახასიათებელ ყოველდღიურ საქმიანობებს განსხვავებულად უმკლავდებოდნენ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც შესაბამისი პროფესიონალების ჩართულობით ხორციელდება და ეფუძნება, ერთის მხრივ, ბავშვის სამედიცინო დიაგნოზს, ხოლო მეორეს მხრივ, მისი ფუნქციონირების დონის დეტალურ ანალიზს.

შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებად ის აღსაზრდელები ითვლებიან, რომელთაც მნიშვნელოვანი სირთულეები ექმნებათ ასაკის შესაბამისი აქტივობების განხორციელებისას და ამ პროცესში მნიშვნელოვან დახმარებას საჭიროებენ.

ტერმინის - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი - განმარტებისას, გამოყოფენ ბავშვების შემდეგ ძირითად კატეგორიებს:

- გონებრივი განვითარების დარღვევით,
- მეტყველების განვითარების დარღვევით,
- მხედველობის დაზიანება/სიბრმავით,
- ორთოპედიული დაზიანებებით,
- ემოციური დარღვევებით,

- აუტიზმით,
- თავის ტვინის ტრავმით,
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემებით.
- სმენითი დარღვევებით,
- დაუნის სინდრომით,
- ცერებრალური დამბლით და სხვა.

ინკლუზიური განათლება გაცილებით უფრო ფართო ცნებაა და იგი განსხვავებული საჭიროებების მქონე ბავშვების განათლებისა და სწავლების სხვადასხვა სახეებს მოიცავს. ესენია: სრული ინკლუზია, ნაწილობრივი ინკლუზია და ინტეგრირებული სწავლება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის, ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს ბავშვის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას, ამ საჭიროების დაკმაყოფილების გზებსა და ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა – ისგ-ს გადახედვის მიზანია, მიღებული გამოცდილების საფუძველზე ახალი სასწავლო მიზნებისა და განხორციელებადი აქტივობების განსაზღვრა აღსაზრდელის წარმატებების, წარუმატებლობების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) გრძელვადიანი** – მიზანი, რომელსაც ისგ-ის გუნდის წევრები შეთანხმებულად აყალიბებენ და რომელსაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ ისგ-თი წინასწარ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მოკლევადიანი მიზნები – საფეხურები გრძელვადიანი მიზნებისკენ. თავის მხრივ, მოკლევადიანი მიზნებიც შედგება საფეხურებისგან, კიდევ უფრო პატარა მიზნებისგან, რომელსაც უფრო მცირე დროითი ინტერვალი სჭირდება და მკვეთრად განსაზღვრული თანმიმდევრობით ლაგდება მარტივიდან რთულისკენ.

ინკლუზიური განათლება – არის საგანმანათლებლო მიდგომა და იდეა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა მახასიათებელი გააჩნიათ.

ინკლუზიური განათლებასთან დაკავშირებული მომსახურება – ყველა ტიპის მომსახურება, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიიროების მქონე ბავშვს დაეხმარება სწავლასა და ადაპტაციაში და მოიცავს ფსიქოლოგიურ, ლოგოპედურ, ფიზიკურ, სატრანსპორტო და სხვა სახის მომსახურებას. .

ინკლუზიური განათლების კოორდინატორი – არჩეული პიროვნება, რომელიც პასუხისმგებელია დაწესებულებაში ინკლუზიური განათლების საკითხების კოორდინირებაზე.

ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდი – სპეციალისტების გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედიან: ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი და ზოგადი განათლების პედაგოგი. გუნდის შემადგენლობა შეიძლება იცვლებოდეს საჭიროებისდა მიხედვით. მულტიდისციპლინური გუნდი ახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების იდენტიფიკაციასა და შეფასებას, მშობლებისა და მასწავლებლების კონსულტირებას სსსმ ბავშვის სწავლას, სწავლებასა და ქცევასთან დაკავშირებით, სსსმ ბავშვების აკადემიური და სოციალური მიღწევების შეფასებასა და მონიტორინგს, ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობას. დაწესებულებას შტატში შესაძლებელია ჰყავდეს მუდმივმოქმედი მულტიდისციპლინური გუნდი. ასევე, შესაძლებელია მობილური მულტიდისციპლინური გუნდების არსებობა განათლების სისტემის მართვის ორგანოებთან (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ან რესურს-ცენტრი).

ინკლუზიური განათლების სახეები – 1) სრული ინკლუზია; 2) ნაწილობრივი ინკლუზია ანუ ინტეგრირებული სწავლება.

ინტეგრირებული სწავლება (ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი სახე) – გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმითა და დამხმარე საშუალებების გამოყენებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სივრცეში არსებულ სპეციალურ კლასში ან რესურს-ოთახში.

ინტელექტი – ადამიანის გონების უნარი შეიმეცნოს სამყარო ისეთი კოგნიტური პროცესების მეშვეობით, როგორებიცაა აბსტრაქტული აზროვნება, დაგეგმვა, მსჯელობა, პრობლემების გადაჭრა, სწავლა, ყურადღება, მეხსიერება, მეტყველება და სხვ. **ინტელექტის დონის შეფასება** – პიროვნების შეფასება მისი ინტელექტის დონის განსაზღვრის მიზნით სხვადასხვა ტიპის ინტელექტის საზომი სტანდარტიზებული ტესტების საშუალებით.

სკოლამდელი ასაკის ბავშვის ოჯახის განათლება – სკოლამდელი ასაკის ბავშვის ოჯახის წევრების განათლების პროგრამა, რომლის მიზანია ოჯახის მხარდაჭერა სკოლამდელი ასაკის ბავშვის სწავლა-აღზრდის პროცესში.

დაწესებულების ფსიქოლოგი _ ფსიქოლოგი, რომელსაც მიღებული აქვს საჭირო კვალიფიკაციას სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან საგანმანათლებლო, ემოციური და/თუ ქცევითი პრობლემების იდენტიფიკაციის, შეფასების, კონსულტაციისა და ჩარევის სტრატეგიის დაგეგმვისათვის. ის თანამშრომლობს განათლების სხვა სპეციალისტებთან და მშობლებთან ბავშვისთვის უსაფრთხო, ჯანმრთელი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის და ოჯახსა და დაწესებულებას შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით.

სოციალიზაცია - პროცესი, რომლის საშუალებითაც ბავშვი იძენს პიროვნულ იდენტობას და ხდება ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წევრი. იგი ითვისებს ყველა იმ ნორმას, ღირებულებებს, ქცევებსა და სოციალურ უნარებს, რომელიც მოცემულ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს ახასიათებს და რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ საკუთარი სოციუმის/ თემის ცხოვრებაში მონაწილოება მიიღოს.

სოციალური აღქმა – კოგნიტური პროცესები, რომელთა საშუალებითაც სოციალურ გარემოში ადამიანები ერთმანეთს აღიქვამენ და იქმნიან შეხედულებს ერთმანეთზე.

სოციალური კოგნიცია – პიროვნების მიერ სოციალური ინფორმაციის გადამუშავების პროცესი მოიცავს სოციალური ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის კოდირებას, შენახვას, აღდგენასა და სოციალურ სიტუაციებში გამოყენებას.

სოციალური კომპეტენცია – სოციალური უნარ-ჩვევები, რომელიც ადამიანს ეხმარება დაამყაროს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან. .

სოციალური მუშაკი – სპეციალისტი, რომელიც მუშაობს სხვადასხვა სისტემაში და დახმარებას უწევს ინდივიდებს, ოჯახებს და ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც სოციალურად გარიყულნი არიან ან რაიმე სახის (ფსიქოლოგიური, სოციალური, ჯანმრთელობის, ფინანსური) კრიზისს განიცდიან. მისი ფუნქციაა, დაეხმაროს ბენეფიციარებს კრიზისის დაძლევაში

სოციალური უნარ-ჩვევები – ნებისმიერი უნარ-ჩვევა, რომელიც საჭიროა ადამიანებს შორის წარმატებული სოციალურ ურთიერთობისთვის. არსებობს როგორც ვერბალურ (მეტყველებით), ისე არავერბალურ სოციალური უნარები. სპეციალური განათლება – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლება სასწავლო გეგმისა და ადაპტირებული სასწავლო მასალის გამოყენებით.

სპეციალური მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია იმისთვის, რომ შეაფასოს ბავშვის სწავლებასა და სწავლასთან დაკავშირებული სპეციალური საჭიროებები; განსაზღვროს და განახორციელოს სწავლების შესაბამისი სტრატეგიები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აღსაზრდელთა ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება – სწავლის სირთულეები, ან შეზღუდული შესაძლებლობა სწავლის პროცესში, რომლის დაძლევაც აღსაზრდელს უჭირს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი – ბავშვი რომელსაც თანატოლების უმრავლესობასთან შედარებით სწავლაში სიძნელეები აქვს და საჭიროებს დამატებით/სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვის იდენტიფიკაცია და შეფასება: იდენტიფიკაცია ანუ იმ ბავშვების გამოვლენა, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ განვითარების დარღვევა და/ან სწავლის სირთულეები; შეფასება – ამ დარღვევების ბუნების, ხარისხისა და მიზეზების განსაზღვრა.

ინფორმაცია ვრცლად შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ საიტებზე:

www.adsb.on.ca

www.gmhc.ge/services.shtml

www.teachingld.org

www.resourceroom.net

www.ctserc.org/library/bibfiles/identification-sed.pdf

www.childdevelopmentionfo.com/learing/teacher.shtml

www.nactac.org/inclusion/meeting/rs_embed.asp

www.dec-sped.org/journals.html

გამოყენებული ლიტერტურა:

ინკლუზიური განათლება - გზამკვლევი მასწავლებელთათვის 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით; - საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.

ინკლუზიური განათლება - ცნებები და ტერმინები -საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, USDAID, Save the children, 2011 წელი.

ვისწავლოთ ერთად - ინკლუზიური განათლება - საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2008 წელი.